საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

კავკასიური ციმორი

კავკასიური ციმორი (Gobio lepidolaemus caucasica, Kamensky, 1901), თევზი, მიეკუთვნება კობრისებრთა ოჯახს (Cyprinidae Fleming, 1822), ციმორების გვარს (Gobio Cuvier, 1816). მტკნარი წყლის ბინადარია. მისი მაქსიმალური სიგრძეა 12,5 სმ, მასა – 10–14 გ. ირჩევს ნელი დინების თხელწყლიან ადგილებს, მდინარის მცირე ტოტებს. მრავლდება მაისიდან სექტემბრამდე. ქვირითს ყრის სამჯერ. ნაყოფიერება 1000–12000 ქვირითია. იკვებება მცენარეული და ცხოველური საკვებით. გვხვდება საქართველოს მდინარეებში (ჭოროხი, ნატანები, სუფსა, რიონი, ხობი, ჭურია, ენგური, კოდორი, ბზიფი); პალიასტომის ტბასა და მასში ჩამავალ მდინარეებში; შაორისა და ტყიბულის წყალსაცავებში; კავკასიის დას. ნაწილში – მდ. ჭოროხიდან მდ. ტუაფსემდე. კავკასიის ენდემია. სამეურნ. მნიშვნელობა არ აქვს. ბუნების დაცვის საერთაშ. კავშ. მიერ (IUCN) შეფასებული არ არის (NE).

ლიტ.: ნ ი ნ უ ა ნ., ჯ ა ფ ო შ ვ ი ლ ი ბ., ბ ო ჭ ო რ ი შ ვ ი ლ ი ვ., საქართველოს თევზები, თბ., 2013.

ნ. ნინუა